ძვირფასო სტუდენტებო, უკვე გაეცანით ინფორმაციას, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში, სწავლების ს ამივე საფეხურის სტუდენტებისთვის, დასკვნითი (ფინალური) გამოცდები 2020 წლის **20 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით** ჩატარდება. გარდა ამისა, შესაძლებლობა გეძლევათ, დასკვნითი გამოცდები **თქვენთვის მისაღები ფორმატით –** დისტანციურად (ონლაინ რეჟიმში) ან აუდიტორიასა და სტუ-ის საგამოცდო კომპიუტერულ ცენტრში ჩააბაროთ.

დასკვნითი გამოცდების ჩაბარების პროცესში, გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

თითოეულ სასწავლო კურსში (საგანი) დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად რომ ჩაითვალოს, სტუდენ ტმა უნდა გადალახოს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ასეა განსაზღვრული:
- ბაკალავრებისთვის - **11 ქულა და მეტი**
- მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის - **21 ქულა და მეტი**.

ასევე, შეგახსენებთ, რომ:

პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, თითოეულ სასწავლო კურსში დასკვნით გა მოცდაზე დასაშვებად, განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ეს არის გამსვლელი ჯამუ რი ქულა (სასწავლო აქტივობის ქულა + შუალედური გამოცდის ქულა), რომელიც შეადგენს:
- ბაკალავრებისთვის - **22.5 ქულას და მეტს**
- მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის - **30 ქულას და მეტს.**

სასწავლო წლის ბოლოს კონკრეტული სასწავლო კურსი (საგანი) ჩაბარებულად რომ ჩაითვალოს, სტ უდენტმა საერთო ჯამში უნდა დააგროვოს:
- **ჯამური 51 ქულა** (სასწავლო აქტივობების, შუალედური გამოცდისა და დასკვნითი გამოცდის ქულე ბი).

თუ დასკვნითი გამოცდის შემდეგ, კონკრეტულ სასწავლო კურსში აღებული ჯამური ქულა იქნება **41 - დან 50 ჩათვლით (შეფასება „FX“)**, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლისა და ქულის გაუმჯობე სების შესაძლებლობა მიეცემა. იმ შემთხვევაში კი, თუ ჯამურად აღებული ქულა **40-ს არ აღემატება (შეფასება „F“)**, სასწავლო კურსი ჩაბარებულად არ ჩაითვლება. შესაბამისად, საგნის ხე ლახლა გავლა იქნება აუცილებელი.

დამატებითი დასკვნითი გამოცდები 2020 წლის **3 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით** ჩატარდება.